ბრძანება:**ბ44. 44240739**
თარიღი:**13/03/2024**

,,ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამის ფარგლებში'' კონკურსის გამოცხადების და დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამის ფარგლებში, ქ. ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების და მოწყვლად ოჯახებში მცხოვრები ბავშვების კოგნიტური და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მიზანშეწონილია კონკურსის შედეგად შეირჩეს საუკეთესო პროექტი და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაცია,რომელიც აღნიშნულ ქვეპროგრამას განახორციელებს საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და ,,ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №79 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების მიზნით, საუკეთესო პროექტის და მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციის შესარჩევად,რომელიც აღნიშნულ ქვეპროგრამას განახორციელებს საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

2. კონკურსის ორგანიზებისა და საუკეთესო პროექტი/პროექტების გამოვლენის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნეს დროებითი საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა/ თამარი დახუნდარიძე - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე /კომისიის თავმჯდომარე/

ბ/ ვარლამ გობეჯიშვილი - ქ.ქუთაისის მუნიციალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი /კომისიის თავმჯდომარის მოადგილე/

გ/ მაია კილაძე - ქ.ქუთაისის მუნიციალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის,მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების კოორდინატორი.

დ/ პეტრე ადამაძე - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი

ე/ დავით ნიშნიანიძე - ქ.ქუთაისის მუნიციალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი.

ვ/ ირაკლი გიორგაძე - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი

ზ/ მამუკა რიჟამაძე-ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი,საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

3.დროებითმა კომისიამ გამოავლინოს კონკურსზე წარმოდგენილი საუკეთესო პროექტი/პროექტები.

4. დროებითი კომისიის თავჯდომარეს მიენიჭოს უფლებამოსილება, საკონკურსო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს პროექტის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით, მათი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

5. დამტკიცდეს ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამების ფარგლებში დროებითი საკონკურსო კომისიის დებულება დანართი N1-ის შესაბამისად.

/დანართი N1 თან ერთვის/.

6. დამტკიცდეს ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერების ქვეპროგრამის კონკურსის ჩატარების წესი დანართი N2-ის შესაბამისად.

/დანართი N2 თან ერთვის/.

7. დამტკიცდეს საკონკურსო პროექტის განაცხადის ფორმა დანართი N3 -ის შესაბამისად.

/დანართი N3 თან ერთვის/.

8. დამტკიცდეს საკონკურსო განაცხადის შეფასების ფორმა დანართი N4 -ის შესაბამისად.

/დანართი N4 თან ერთვის/.

9. ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს კონკურსის პირობების შესახებ განცხადების გამოქვეყნება ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებებით.

10. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

12. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

დავითი ერემეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი